თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 1772789

გაცემის თარიღი: 10/03/2015 გაცნობის თარიღი: 10/03/2015

განცხადების ნომერი: AR1290276

შემოსვლის თარიღი: 01/03/2015

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.19.34.001.019
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 4
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 2675.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "კემხელი" (249263327)

ნომენკლატურა :

- **ქალაქგეგმარება**
- **ქალაქგეგმარებითი დასკვნა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ბესიკი ხასია პ/ნ 58001003802
- მისამართი: თბილისი III მასივი IX კვ. კორ. 5 ბ. 37

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1290276 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.19.34.001.019) მიმდებარედ ავტოპარკინგის განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგ:

არქიტექტურის სამსახური, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, არ არის წინააღმდეგი, გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.19.34.001.019) მიმდებარედ, დამატებით შეტყობინებაში, დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, პარკინგის მოწყობასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.